

„დამტკიცებულია“

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

----- დადგენილებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ პროფესორისა და  
მასწავლებელთა პერსონალის წახალისების წესი

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური, მოწვეული პროფესორისა და მასწავლებელთა პერსონალის (შემდგომში - პერსონალი) წახალისების წესსა და პირობებს. ამ წესის მიზნებისათვის პერსონალის წახალისება დაკავშირებულია პერსონალის მიერ სასწავლო კურსების განხორციელებაში ინოვაციური სწავლისა და სწავლების მეთოდების გამოყენებასთან. წინამდებარე წესი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ფარგლებში ინოვაციური სწავლისა და სწავლების პოპულარიზაციასა და ამასთან მიმართებაში, პერსონალის მოტივაციის ზრდას.

### **მუხლი 2. პერსონალის წახალისების მიზნით კონკურსის ორგანიზება**

1. პერსონალის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი სასწავლო წლის განმავლობაში, არანაკლებ ერთხელ ატარებს კონკურსს. კონკურსის ჩატარების საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) ხელმძღვანელს/ხელმძღვანელს. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლითაც დგინდება საკონკურსო ვადები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
2. კონკურსის შედეგების საფუძველზე, პერსონალის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში;

3. პერსონალის წახალისების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება გასული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით;

4. თითოეულ ფაკულტეტს შეუძლია პერსონალი შეარჩიოს ორ ნომინაციაში:

ა) ფაკულტეტის წლის საუკეთესო პროფესორი/მოწვეული პროფესორი/მასწავლებელი;

ბ) ფაკულტეტის წლის ინოვაციური პროფესორი/მოწვეული პროფესორი/მასწავლებელი;

5. პერსონალის შესახებ ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ფაკულტეტი/სკოლა, შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი და პერსონალი. არასწორი ინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხი შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

### **მუხლი 3. საკონკურსო კომისია და კონკურსის პირობები**

1. კონკურსის ორგანიზების მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია რექტორის ბრძანებით, რომლის შემადგენლობაში, შესაძლოა, შედიოდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის პერსონალისა და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები; საკონკურსო კომისია საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის უფლებამოსილია, ჩართოს ექსპერტები ან/და სხვა პირები კომისიის მუშაობაში.

2. საკონკურსო კომისია განსაზღვრავს კანდიდატთა შეფასების სტანდარტებს.

3. კომისიას შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე (კანდიდატთა შერჩევის, გამარჯვებულთა გამოვლენის, კონკურსის ჩატარების-დაჯილდოების ცერემონიის შესახებ და სხვა) გადაწყვეტილება მიიღოს, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც;

3. კონკურსში მონაწილეობისათვის პერსონალი ვალდებულია საკონკურსო კომისიას წარუდგინოს განცხადება და კონკურსის გამოცხადების თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია;

#### მუხლი 4. გამარჯვებულის გამოვლენა

1. საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით შერჩეული კანდიდატებიდან გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტ ხმას;
2. გამარჯვებული პერსონალი ჯილდოვდება სიმბოლური პრიზებით და გადაეცემა სიგელი.
3. შესაბამისი ფაკულტეტის ბიუჯეტში შესაძლოა, გათვალისწინებული იქნეს გამარჯვებული პერსონალისათვის ფულადი ჯილდო.